



**პროგრამების განვითარების მიზნით, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში**

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. თითოეული პროგრამა მიზნად ისახავს ქვეყნის, რეგიონის შრომის ბაზარზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას, რომელიც შეძლებს პროფესიულ წინსვლას, საზოგადოების განვითარებაში დადებითი როლის შესრულებას და ცოდნის გამოყენებას თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად.

პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენება სტუდენტთა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათი კომპეტენციების შესაბამისობის დასადგენად. გამოკითხვა ტარდება ელექტრონული ფორმით. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს (სემესტრის/სასწავლო წლის ბოლოს), სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც განიხილება მუსიკის ფაკულტეტის დეპარტამენტებში და შემდეგ მუსიკის ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ბხსუ-ს ყველა პროგრამა ექვემდებარება გარე ექსპერტიზას, კოლეგიალურ შეფასებას, ასევე დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვას, რომლის ანალიზის შედეგები განიხილება პროგრამის განვითარებისათვის. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით პროგრამის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან აკადემიური პირები, სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები, გარე შეფასების შედეგებით მიღებული რეკომენდაციების, წინადადებების, სურვილების გთავალისწინებით ახდენს პროგრამის მოდიფიცირებას, პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების მიზნების, შინაარსისა და შედეგების, კრედიტების, მეთოდოლოგიის და სხვ. კომპონენტების დაზუსტებას, განსაზღვრავს ან ახალი სასწავლო კურსების შემუშავების, მატერიალური რესურსების განვითარებისა და სრულყოფის აუცილებლობას.

კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა სპეციალობის მიხედვით არის დასაქმებული. ისინი წარმატებით იყენებენ უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას პროფესიულ საქმიანობაში, რაც მიუთითებს სასწავლო პროგრამების შინაარსობრივ შესაბამისობაზე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. საშემსრულებლო პროგრამების კურსდამთავრებულები ინტეგრირებულნი არიან ადგილობრივ და რეგიონულ სახელოვნებო დაწესებულებებში - მუსიკალური ცენტრი, ხელოვნების ცენტრი, ტელევიზია, ზოგიერთი მათგანი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სათანადო სერტიფიკატის მოპოვების საფუძველზე, დასაქმებული არიან საჯარო სკოლებში, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში.

## საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამუსიკო ხელოვნება“

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სამუსიკო შემსრულებლობა“ (ფორტეპიანო, აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, საორკესტრო) შემოქმედებით-სამშენსრულებლო პრაქტიკაზე ორიენტირებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამაა, რომლის მიზანია ხელოვნების პრაქტიკული და თეორიული ცოდნით აღჭურვილი შესაბამისი დარგის პროფესიონალი კადრების მომზადება. პროგრამა მიმართულია აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის პროგრამის კონტენტი ითვალისწინებს მუსიკოსის დანიშნულებას კულტურისა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის მიზანი სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან (ასევე, თანხვედრაშია მუსიკის ფაკულტეტის დებულებასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან), რომელიც გულისხმობს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, სტუდენტთა პიროვნული პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობასა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით.

პროგრამის მიზნის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, კვლევა განხორციელდა დამსაქმებელთა გამოკითხვებითა და ზეპირი ინტერვიუების გზით. როგორც ცნობილია, პროგრამის კურსდამთავრებულების უმეტესი ნაწილი დასაქმებულია ბათუმის სხვადასხვა კულტურულ-შემოქმედებით და სასწავლო ორგანიზაციებში.

სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე, სააკრედიტაციოდ მომზადების პროცესში პროგრამებში შევიდა გარკვეული ცვლილებები, დაემატა ახალი სასწავლო კურსები;

- შემოქმედებითი ტურის სტრუქტურაშიც შევიდა ცვლილება. კერძოდ, აბიტურიენტებს აღარ მოეთხოვებათ პროფესიული და ხალხური მუსიკის ნიმუშების გამოცნობა. მათ საშუალება ექნებათ სწავლის პროცესში გაიცნონ და აითვისონ ეს საკითხები.

- სპეციალობის სასწავლო კურსს ყველა სპეციალობაზე მოეხსნა პედაგოგიური სემინარები, გამომდინარე იქედან, რომ კურიკულუმი ითვალისწინებს სპეციალობის პრაქტიკულ კურსის შევსებას თეორიულ-ისტორიული ცოდნით. აკადემიური სიმღერის სპეციალობაზე დისციპლინა ტრენინგი მუსიკალურ სმენის განვითარებასა და ფურცლიდან კითხვაში საათების რაოდენობის შეცვლის გარეშე 6 სემესტრის ნაცვლად 4 სემესტრზე გადანაწილდა, იგივე პრინციპით შეიცვალა მსახიობის ოსტატობის საფუძვლები და სასცენო მოძრაობა(4 სემესტრის ნაცვლად 2 სემესტრის განმავლობაში ისწავლება).

- კურსდამთავრებულთა და სტუდენტების მოთხოვნით პროგრამაში შევიდა ახალი სასწავლო კურსი „პროექტის მენეჯმენტი“, რომელიც მიმდინარე და მომავალი შემოქმედებითი საქმიანობის ორგანიზაციაში ეხმარება სტუდენტებს

- გაიზარდა არჩევითი კურსების რაოდენობა 20 კრედიტამდე.

- პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილია მოდულები. ერთი მოდულის აღმწერი შეიცავს ხშირ შემთხვევაში 8 სემესტრის შედეგებს, მაგალითად, სპეციალობის მოდული, სხვა შემთხვევაში 2 ან 4 სემესტრის შედეგებს. მოდულები ძირითად მოიცავს შემოქმედებით პროექტზე ორიენტირებულ არასალექციო სასწავლო კურსებს. აღნიშნული დისციპლინები (სპეციალობა, კამერული ანსამბლი, საკონცერტმაისტერო კლასი და ა.შ.) მიმართულია სტუდენტის სამშენსრულებლო ინდივიდუალური კომპეტენციების განვითარებაზე და სამშენსრულებლო უნარების გამომუშავებაზე. ეს გახლავთ უწყვეტი განვითარების პროცესი, რომელიც ორიენტირებულია ფინალურ შედეგზე. ამავე დროს სილაბუსში განაზღვრულია

აუცილებელი რეპერტუარი შემოქმედებითი გეგმის სახით, სემეტრების შესაბამისად. სწორედ აქედან გამომდინარე ხდება სტუდენტისთვის ინდივიდუალური პროგრამის (რეპერტუარის) შერჩევა.

- სილაბუსების გარკვეულ ნაწილში შეიცვალა შესასწავლი თემების თანმიმდევრობა მუსიკალური ფორმის ანალიზის სილაბუსში, დაზუსტდა რეპერტუარი სხვადასხვა საშემსრულებლო სილაბუსებში, კერძოდ, შესასწავლი მასალას დაემატა მეოცე საუკუნის კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

- მნიშვნელოვანი სამუშაოები გატარდა სწავლების მეთოდების შერჩევის დროსაც. მთავარი აქცენტი გადატანილია სწავლის შედეგების მისაღწევად რელევანტური მეთოდებისა და აქტივობების შერჩევაზე. მეთოდების შერჩევის დროს გათვალისწინებული იქნა როგორც სასწავლო კურსის სპეციფიკა და შინაარსი, ასევე მისაღწევი შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის კონკრეტული გზები და შეფასების კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

- საშემსრულებლო მიმართულების ბევრ სასწავლო კურსში მანამდე არსებული მინიმალური სტანდარტი შეიცვალა, კონკრეტულად გაიწერა სემესტრული მოთხოვნები და შედეგები.

- პროგრამების ინტერნაციონალიზაციის და მომავალში საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების მიზნით არჩევით საგნებს დაემატა ინგლისური ენის არჩევითი კურსი (10 კრედიტი) სასურველი დონის შესაბამისად.

- ერაზმუსის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის პარალელურად გაიზარდა ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ინტეგრირებულ პროექტებში ჩართული სტუდენტების რაოდენობა, რაც დადებითად აისახება მათ შემოქმედებით საქმიანობაზე.

- სტუდენტების მოთხოვნის შესაბამისად, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის გამომცემლობამ მოგვაწოდა ახალი გამოცემები, რის საფუძველზეც, სილაბუსებში დაემატა ქართულენოვანი სახელმძღვანელოები.

### **სამაგისტრო პროგრამა „სამუსიკო შემსრულებლობა“**

სამაგისტრო პროგრამამ „სამუსიკო შემსრულებლობა“ აკრედიტაცია გაიარა 2019 წელს. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებული ცოდნის გაღრმავებას, საშემსრულებლო რეპერტუარის გაფართოებას, კვალიფიციური მუსიკოსისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებას და ახალ საფეხურზე აყვანას. ამ მიზნით შედგენილი სპეციალური პროგრამა გათვლილია საშემსრულებლო ხელოვნების განვითარების მანძილზე დაგროვილი ცოდნის და გამოცდილების შესწავლაზე. პროგრამა მიმართულია აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე მუსიკოს-შემსრულებლის და სამუსიკო სკოლის პედაგოგის მოსამზადებლად.

პროგრამის შედგენის პროცესში გათვალისწინებულია ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნები, რეგიონში არსებული მუსიკალური დაწესებულებების მოთხოვნები.

საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც ინდივიდუალური საშემსრულებლო, ასევე თეორიული კურსები, რომლებიც ავითარებს მომავალი სპეციალისტის განათლებას,

სამაგისტრო პროგრამის განხორციელებით, სამომავლოდ შესაძლებელი იქნება კულტურის/ხელოვნების დაწესებულებებში არსებული კადრების დეფიციტის ეტაპობრივად

დაძლევს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აჭარის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრისთვის კადრების მომზადებას.

პროგრამის მიზანი სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან (ასევე, თანხვედრაშია მუსიკის ფაკულტეტის დებულებასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან), რომელიც გულისხმობს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, სტუდენტთა პიროვნული პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობასა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით.

პროგრამის მიზნის განსაზღვრის დროს გავითვალისწინეთ ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, კვლევა განხორციელდა დამსაქმებელთა გამოკითხვებითა და ზეპირი ინტერვიუების გზით. ამასთან, გავითვალისწინეთ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის გამოცდილება. საბოლოოდ პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდნენ დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ კურსდამთავრებულთა უმეტესი ნაწილი დასაქმებულია კვალიფიკაციის მიხედვით. პროგრამაში აკრედიტაციამდე განხორციელებული ცვლილებები, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამაში აღარ არის სწავლებისა და სწავლის ახალი ტექნოლოგიები და ზოგადი პედაგოგიკა. ასევე პედაგოგიური პრაქტიკა გახდა სამუსიკო პედაგოგიკის ნაწილი. საოკრესტრო კლასი, კვარტეტის კლასი და სასულე ინსტრუმენტების ანსამბლი ისწავლება 4-ვე სემესტრის მანძილზე. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში ჩაიდო თავისუფალი შემოქმედებითი პროექტი (5 კრედიტი), რომელსაც დამოუკიდებლად ასრულებს სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი და აფასებს კომისია, დამაკმაყოფილებელია ყველა სტუდენტისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი „თავისუფალი შემოქმედებითი პროექტის მიმართ“ სტუდენტთა დამოკიდებულება. ეს დისციპლინა მატ საკუთარი ინდივიდუალური უნარების და დამოუკიდებელი აზროვნების გამოვლენის საშუალებას იძლევა.

### **შრომის ბაზრის კვლევა**

საბაკალვრო პროგრამის მიზანია აკადემიური ხარისხის მქონე მუსიკოს-შემსრულებლის მომზადება, რომელიც შეძლებს განსხვავებული ეპოქის და სტილის მუსიკალური ნაწარმოებების სხვადასხვა სცენებზე შესრულებას. ამასთან პროგრამამ უნდა მისცეს სტუდენტს მუსიკის ისტორიისა და თეორიის საფუძვლებში ისეთი ცოდნა, რაც მუსიკალური ნაწარმოებების ინტერპრეტაციაში დაეხმარება. საბოლოოდ უნდა მოხდეს ინდივიდუალური და ფართო ხედვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტის ჩამოყალიბება, რომელიც შეძლებს საკუთარი საშემსრულებლო და სამუშაო პროცესის დაგეგმვას.

#### **კვლევის მიზანი:**

შრომის ბაზრის კვლევის მიზანია მუსიკალური კულტურის სფეროში დამსაქმებელთა ბაზრის კვლევა, რეგიონში არსებული სიტუაციის ანალიზი, დამსაქმებელთა მოთხოვნების შესწავლა. კვლევის მეთოდად გამოყენებულ იქნა ინტერაქტიული შეხვედრები, პოტენციურ დამსაქმებელთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის, კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარების ანალიზი, კურსდამთავრებულებთან შეხვედრის ანალიზი. კვლევის მიზანს წარმოადგენდა:

- შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლა;
- შიდა თავისებურებების განსაზღვრა, დასაქმების მხრივ;
- შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის შეფასება;

- შრომის ბაზრის მოთხოვნები და საჭიროებები.

კვლევის პროცესში მონაწილეობდნენ აჭარის რეგიონში არსებული მუსიკალურ-შემოქმედებითი და სამუსიკო-საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელები, საჯარო და კერძო სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

#### **კვლევის გეგმა:**

დასაქმების ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით შედგა შეხვედრები მუსიკალური სფეროს პოტენციურ დამსაქმებელთან, შრომის ბაზრის სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებთან.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა ელექტრონული კითხვარები, რომლებიც დაეგზავნათ ორგანიზაციების წარმომადგენლებს პირად ელექტრონულ ფოსტაზე.

კითხვარი მოიცავდა შემდეგ ძირითად საკითხებს:

- კურსდამთავრებულთა პროფესიონალიზმის შეფასება;
- კანდიდატების შერჩევის ფორმები;
- ბხსუ-ს მუსიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულების ძირითადი უპირატესობანი;
- აუცილებელი რეკომენდაციები პროფესიული განვითარებისათვის;
- დამსაქმებელსა და საგანმანათლებლო სივრცეს შორის არსებული სირთულეები;

კვლევის ჩასატარებლად ასევე გამოყენებულ იქნა ინტერვიუს მეთოდი, დამსაქმებელთა გამოცდილების და მათი მოსაზრებების მოსმენის ფორმატი.

დამსაქმებლების და დასაქმებული კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულთა უმეტესი ნაწილი -75-80 პროცენტი დასაქმებულია პროფლით. დამსაქმებლები კვლავაც აპირებენ კურსდამთავრებულთა მიღებას და მომავალშიც გააგრძელებენ ურთიერთობას უნივერსიტეტთან. მათ მოსწონთ პროგრამის კურსდამთავრებულების როგორც თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, ასევე საქმისადმი პასუხისმგებლობა.

კვლევამ მოიცვა კულტურის სფეროს მიმართულების სხვადასხვა სექტორი:

- ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი;
- მერიის კულტურის ცენტრი;
- ვახტანგ ჭაბუკიანის საბალეტო სკოლა;
- სამუსიკო სკოლები;
- საგანმანათლებლო ორგანიზაციები - კერძო და საჯარო სკოლები;
- კურსდამთავრებულები.

დამსაქმებელბთან კომუნიკაციის დროს დადგინდა, რომ რომ საჭიროა უფრო მეტი კომუნიკაცია, მუსიკის ფაკულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამების და მიმდინარე შემოქმედებითი პროცესის ირგვლივ. ეს მომავალში შესაძლოა ერთობლივი შემოქმედებითი პროექტების საფუძველიც გახდეს. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად, კომუნიკაციის პროცესში, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმისა და სასწავლო პროცესების სტრუქტურის ელექტრონულად მიწოდება, რამაც ხელი შეუწყო დამსაქმებელთა მხრიდან ბაზრის ანალიზისათვის მნიშვნელოვანი კომპონენტების გამოკვეთას.

კითხვაზე: საჭიროა თუ არა ამ მიმართულების არსებობა საუნივერსიტეტო სისტემაში და შეუწყობს თუ არა იგი ხელს ქვეყნის, რეგიონის განვითარებას? - გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა თვლის რომ ამ პროგრამის ფუნქციონირება ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში ხელს უწყობს სამუსიკო შემოქმედებითი სფეროს კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფას.

კითხვაზე: შეესაბამება თუ არა კვალიფიკაციის მახასიათებელი შრომის ბაზარზე დასაქმებისთვის აუცილებელ მოთხოვნებს? -დამსაქმებლებს მიაჩნიათ, რომ მაღალია პრაქტიკული და თეორიული მომზადება, მაგრამ მაინც არასაკმარისია გარკვეული პრაქტიკული უნარები. მათი შეხედულებით, აუცილებელია ყველა სტუდენტს ჰქონდეს სცენაზე გამოსვლის გარკვეული ისტორია; არ უნდა იყოს დაშვებული გამონაკლისი სტუდენტებისა, რომლებიც ყველა აქტივობაში მონაწილეობენ. ეს შემდეგომ აისახება, სტუდენტების საერთო იმიჯზე. ამ საკითხით განსაკუთრებით დაინტერესებულია ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი. ამ ცენტრის და უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის შემოქმედებითი ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია. ფაკულტეტის კურსდამთავრებულები მრავლად არიან აღნიშნული ცენტრის საოპერო სტუდიის, კაპელის, ორკესტრის, ახალგაზრდული თეატრის შემადგენლობაში, როგორც სოლისტების, ასევე მსახიობების სახით.

შესაბამისი სფეროს წარმომადგენლების გამოკითხვის შედეგად აღინიშნა, რომ მუსიკის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ პოზიტიური როლის შესრულება აღნიშნულ დაწესებულებებში საგანმანათლებლო-შემოქმედებითი აქტივობების განხორციელებისა, დაწესებულების პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

კითხვაზე: როგორია მუსიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულების იმიჯი შრომის ბაზარზე? - დამსაქმებლებს მიაჩნიათ, რომ მეტი სამუშაოა გასაწევი საგანმანათლებლო პროგრამის პოპულარიზაციის საკითხში. მითუმეტეს, რომ დღეს მაღალმთიან აჭარას უამრავი სპეციალისტი ესაჭიროება და რეალურად იქ არ მიდის ინფორმაცია ამ პროფილის საგანმანათლებლო პროგრამის არსებობის შესახებ.

კითხვაზე: რა უნარებს და პროფესიულ თვისებებს უნდა ფლობდეს ახალგაზრდა სპეციალისტები? დამსაქმებლების აზრით ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება გახლავთ მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა, რომელიც არ უნდა შეწყდეს დასაქმებისთანავე. სტუდენტებმა უნდა გაითავისონ, რომ დასაქმება არ არის მუდმივი და მათ მუდმივად აუცილებელია ახალი უნარების და გამოცდილების შექმნა.

კითხვაზე: რამდენად კარგად იცნობენ უნივერსიტეტის სტუდენტებს დამსაქმებლები და რამდენად აქვთ საშუალება წინასწარ განსაზღვრონ დასაქმების კანდიდატურები? - გამოკითხულთა უმრავლესობა პასუხობს, რომ აუცილებელია საკონცერტო პროგრამების წარდგენა სხვადასხვა დაწესებულებებში, ეს საშუალებას მისცემს ორგანიზაციებს დააკვირდნენ და შეარჩიონ შესაფერისი კანდიდატურები.

რეკომენდაციების საფუძველზე დაიხვეწა და გადახედილ იქნა სასწავლო- შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა. შეიცვალა საკონცერტო გრაფიკი და ის მორგებული გახდა პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნებზე. დაიგემა საკონცერტო პროგრამები ბათუმის და რეგიონების სამუსიკო და საჯარო სკოლებში, ასევე სხვადასხვა პროექტების წარდგენის დროს აუცილებელი გახდება დამსაქმებელთა მოწვევა.

ამდენად, კვლევის შედეგად დგინდება, რომ ჩვენს რეგიონში (და დასავლეთ საქართველოშიც) სამუსიკო ხელოვნების მიმართულების სპეციალისტების მომზადების აუცილებლობა განპირობებულია აღნიშნული კატეგორიის სპეციალისტების მოთხოვნით. პროგრამის ათვისების შედეგად შეძენილი ცოდნა და უნარები კურსდამთავრებულს აძლევს საშუალებას იყენებდეს კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე. ბხსუ-ს მუსიკის ფაკულტეტის სასწავლო პროგრამები (საბაკალავრო პროგრამა „სამუსიკო ხელოვნება“), სამაგისტრო პროგრამა (სამუსიკო შემსრულებლობა) ხელს უწყობს კურსდამთავრებულის დასაქმების ბაზარზე ორიენტირებას და უზრუნველყოფს მის კარიერულ წინსვლას.